შპს მარნეულის კოლეჯს საქმიანობის განხორციელებისას, პრიორიტეტად დასახული აქვს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხები. კოლეჯის ხელმძღვანელობა აცნობიერებს უსაფრთხოების კუთხით საკუთარ პასუხისმგებლობას და სათანადოდ უზრუნველყოფს სტუდენტებისა და დასაქმებულთა შრომისა და ჯანმრთელბის დაცვას.

მნიშვნელოვანია, რომ თქვენც იცოდეთ უსაფრთხოების წესები და გაუფრთხილდეთ საკუთარ და სხვის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

**ხანძრის ან დაკვამლიანების შემთხვევაში:**

1. შეატყობინეთ ამის შესახებ დაცვის თნამშრომელს ან რომელიმე სხვა თანამშრომელს;
2. დარეკეთ ამ ნომერზე -- 112;
3. დარეკეთ განგაშის ზარი, რომელიც განლაგებულია კოლეჯის დერეფანში დირექტორის კაბინეტის წინ;
4. გაეცანი კიდევ ერთხელ ევაკუაციის მარშრუტს საევაკაციო გეგმის შესაბამისად, გეგმები განლაგებულია დერეფანში თვალსაჩინო ადგილზე;
5. ხანძრის კერის ჩასაქრობად გამოიყენეთ ცეცხლამაქრი, რომელიც განთავსებულია კოლეჯის დერეფანში ოთხ ლოკაციაზე თვალსაჩინო ადგილზე;
6. ძლიერი დაკვამლიანების შემთხვევაში მიჰყევით მანათობელ მანიშნებლებს გასასვლელისაკენ;
7. ევაკუაციის პროცესი იწყება იმ პირებით, რომელთაც არ სჭირდებათ სხვების დახმარება გარეთ გასასვლელად; ეს გამორიცხავს სსსმ პირთა დაშავებას ევაკუაციის დროს;
8. ოთახების და აუდიტორიების დატოვებისას, შესაძლებლობის შემთხვევაში უნდა დახუროთ ფანჯრები და კარებები, რაც ხელს შეუშლის ცეცხლის გავრცელებას;
9. პირადი ნივთების წაღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დრო იძლევა ამის საშუალებას;
10. ევაკუაციის დროს უნდა შენარჩუნდეს სიმშვიდე და სიწყნარე, რათ აყველამ გაიგონოს ხელმძღვანელის მითითებები, რომელიც ხელმძღვანელობს ევაკუაციის პროცესს;
11. აკრძალულია დაბრუნება შენობაში სანამ პასუხისმგებელი პირი არ გასცემს შესაბამის მითითებას;
12. შენობის დატოვების შემდეგ ყველა გროვდება წინასწარ დათქმულ ადგილზე და არ იშლება პასუხისმგებელი პირის მითითების გარეშე

**ელექტრო ხელსაწყოების უსაფრთხო გამოყენება**

1. გამოიყენეტ ელექტროხელსაწყოები მხოლოდ მწარმოებლის მიერ დადგენილი დანიშნულების შესაბამისად
2. გამორთეთ ელექტრო კაბელი კედლის ჩამრთველიდან (შტეფსელი) ორი ხელით და არ მოქაჩოთ კაბელით
3. თუ რომელიმე ელექტროხელსაწყო გაცხელებულია, არ სეეხოთ მას და დაუყოვნებლივ შეატყობინეთ ადმინისტრაციას ამის შესახებ
4. მოშიშვლებული ან დაზიანებული ელექტროკაბელის შემჩნევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეატყობინეთ ადმინისტრაციას


ცეცხლმაქრის გამოყენების წესი
მოსამზადებელი პროცედურა
მოწყვიტე პლომბი
გამოაძრე სარჭი
გამფრქვევი მიმართე
ცეცხლისკენ
დააჭირე დროსელს
ცეცხლქრობის წესი
ცეცხლს
მიუახლოვდეთ
ქარის მხრიდან
ნაკადი მიმართოთ
ცეცხლის კერისკენ
ფარდულში ცეცხლი
ჩააქრე ზემოდან
ერთობლივი ქრობის
მეთოდი
დარწმუნდით რომ
ცეცხლის კერა
ჩამქრალია
ცეცხლმაქრის
გადასამუხტი
სადგური
გამოყენებული
ცეცხლმაქრი
გადამუხტეთ